საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანო № 73 პარასკევი, თებერვლის 16 (29) 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

გერმანიის ჯარი განაგრძობს შემოტევას. გერმანელებმა დ[illegible] კავეს რიგელი, იურევი, პსკოვი და მიდიან პეტროგრადისკენ. სახალხო კომისრები მოუწოდებენ ყველას გერმანელთა საწინააღმდეგოთ.

განცხადების ფასი: რვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ჰეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე — 30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი ჰეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი ხაზგასმულ [illegible] განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 3 ხაზის შემდეგ [illegible] განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ვ. ბავაროვ-ილიაძესეული „ნადვორა") ბარიანის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

[illegible] და დასახმარებელი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-[illegible] [illegible]ების გარდა, ღილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოწერილი წერილები არ დაბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წ[illegible] [illegible] და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

[illegible] და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახალხის ქ., ხარაზიშვილის ს. № 6.

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—28

კოოპერატივებო და კოოპერატორებო, დაეხმარეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფულის მოგროვებით. ყოველმა კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან უნდა აასდოს ნაწილი საბჭოსათვის.

1061 საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია. ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირი.

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის სიღნაღის სამაზრო

კომიტეტი

აცხადებს ანხანაგების საყურადღებოდ, რომ კვირას, 25 თებერვალს ქ. სიღნაღში ეკიმართება პარტიის სამაზრო

კრება

საგანი კრებისა: 1. მოხსენება პარტიულ კონფერენციის შესახებ, 2. მომენტი და ტაქტიკა, 3. საქართველოს დამფუძნებელი კრება, 4. მწის საკითხი, 5. ერობის საკითხი, 6. მოხსენება სამაზრო კომიტეტისა, 7. მოხსენებები ადგილებიდან, 8. საორგანიზაციო საკითხები და სხ.

კრებაზე დასწრების ნება აქვს ყველა ჩვენს პარტიულ ამხანაგს. მოვუწოდებთ ამხანაგებს აუცილებლად დასწრონ კრებას.

ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო დეპუტატების საბჭო

სთხოვს ტფილისის მანუფაქტურისტებს მოიბრძანდნენ კვირას, თებერვლის თვრამეტსა დილის თერთმეტ საათზე ბირჟის ბინაზე (ჰუშკინის ქ., 5) საბჭოს ერთის დეპუტატის და ერთი მისი მოადგილის ასარჩევად მდგომარე 1918 წლისთვის.

გამოვიდა ქურნალ „პრომეთეს" „პირველი ნუმერი

ქურნალი 3 თვით ღირს ცხრა მანეთი, კილზე მყოფელებისათვის 4 მანეთი.

ქურნალზე კილის მოწერა მიიღება: **ტფილისში „სახალხო საქმის" კონტორაში ქუთაისში გიგლა მებუკეხთან „ხალხის მეგობრის" რედაქციაში, თინა გველესიანთან. ბათუმში სერგო გერხამიასთან. ახალ სენაკში გ. ჯაკობიასთან. ჭიათურაში ნინო დგებუაძესთან. ხონში მოსიკ ჭელიძესთან. გ რში სიმონ მაკავარიანთან. თელავში სიმონ წერეთელთან.**

პირველი ნუმრის კილზე ყიდვა შეიძლება ჯერ ჯერობით ტფილისში „სახალხო საქმის" კანტორაში, ქართველთა შ. წ-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, ქართული კლუბის შესავალთან სიმონ გალაშვილის „კიოსკში". ყოველივე მასალა და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი ფოსტის ყუთი 190. პრომეთეს რედაქციას.

3 მარტს თელავის მაზრის [illegible] ტფილისში ანჩისხატის ეკლესიაში 12 [illegible] [illegible] [illegible]

ეთის თვითპყრობელობის
ტომ კი არ ჩამოგვიგდია,
ლეთისა დავიდვთ. ამას
ა გათვალისწინება და შე-
ამების მიდება არა მხოლოდ
ჭიროა ძალა, ჯარი, შეია-

ᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ

ᲜᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ უკანასკნელ ყრილობა-
შკარად გამოირკვა, რომ ადვი-
შესაძლებელია ახლო მომავალში
მიერვე შექმნილ სეიმში მოჰხდეს
ᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ იზოლაცია. ერთს ჩემს
ში აღვნიშნე და დღეს ისევ უნ-
ვიმეორო, რომ, ობიექტიური
ების წყალობით და ბოძოლის
ულებისა გამო, რომელსაც
ეიძე წელიწადი აწარმოებდნენ
, ისეთი მდგომარეობა შეიქმნა,
ᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ იზოლაცია იქნება
ნავე ერთად იზოლაცია მთელი
ული ხალხისა. ჯერ დანამდვი-
ᲗᲐᲠ ᲐᲠ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ითქვას, რანაირი
თა განწყობილება შეიქნება სეიმ-
ᲛᲔᲡᲐᲒᲠᲐᲛ, თუ სოციალ-დემოკრატე-
ყრილობაზე გამართულ კამათს
ᲜᲔᲑᲐᲠᲘᲨᲘ, დავრწმუნდებით,
ული კოალიცია იქნება მი-
ᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ წინააღმდეგ და,
ᲫᲔ, მათი იზოლაცია მოხდება,
ᲡᲘᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲡ ᲩᲐᲛᲝᲐᲨᲠ-
ᲛᲝᲐᲕᲝᲠᲝᲑᲐᲡ, ან სოციალ-დემოკ-
ᲔᲑᲘ შეინარჩუნებენ ძალა უფლე-
და მაშინ სეიმში შეიქნება ისეთი
ᲠᲘ ᲝᲠᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ, რომელიც ფაქ-
ად შეუძლებლად გაჰხდის ერთის
ᲫᲚᲘᲔᲠᲘ მთავრობის შექმნას და
ᲛᲮᲠᲘᲗ კი დადეკითს ეკონო-
ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ შეთანხმებებს, თუნ-
ᲛᲘ ფაგლებში, რომლებიც თვით
ᲔᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲡᲐ აქვთ დასახუ-

ᲛᲘ ნათლად წარმოვიდგინოთ, რა
ᲨᲘ შეიძლება მოჰყვეს სოციალ-
ᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ იზოლაციას, ერთხელ
ᲣᲜᲓᲐ დავუბრუნდეთ იმის გა-
ᲔᲑᲐᲡ, თუ რით ხელმძღვანელო-
ᲘᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ მოწინააღ-
ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ, გარდა, რასაკვირვე-
ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡᲐ, რომელთა წინა-
ᲒᲘ ᲑᲐᲡᲐᲪ ყოველთვის სპეციფიუ-
ᲚᲛᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ სუნი უდის ხოლეე-
ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ იზოლაციას
ᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢ-ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝ-
და დაშნაკცაკანები. სულ სხვა
ით, მაგრამ სოციალ-დემოკრა-
დამარცხების სუოვილით ბოლ-
ᲑᲘᲪ ხელს შეუწყობენ იმ იზო-
, ხელს შეუწყობენ ისეთი
ᲠᲔᲝᲑᲘᲡ შექმნას, რომ ცენტრა-
ᲫᲐᲚᲐ დაუსტდეს, დაინგრეს,
ᲜᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲑᲖᲔ მერე მათ თავიან-
ᲔᲑᲜᲘ ზრდა და იქნება სახელ-
ᲫᲐᲚᲐ უფლების ხელში ჩაგდე-
ᲪᲐᲓᲝᲜ. ძალიან დამახასიათებე-
ᲡᲘᲛᲞᲢᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘᲐ ის გარემოე-
Მ სოციალისტ-რევოლიუციონე-
ᲔᲑᲘ დაშნაკცაკანები სოციალ-დე-
ᲢᲔᲑᲡ სწორედ იმას უკიჟინებენ,
ᲠᲘᲡᲐᲪ ჩვენი პარტია რაძდენიმე
ᲬᲐᲓᲘᲐ სასტიკად ებრძვის მათ—
ᲜᲔᲑᲔᲜ ნაციონალისტობასა და
ᲝᲑᲐᲡ. დაშნაკცაკანების პარ
ᲛᲚᲘᲡ პოლიტიკური მოღვა-
ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲔᲚᲐᲡᲢᲘᲣᲠᲘᲐ, რომ
ᲠᲝᲕ დაშკოვის კაბინეტშიაც
ᲓᲔᲑᲐ და შაუმიანის ოთახშიაც,—
ᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ მოღვაწეობა ყოველ-
ᲘᲡ ᲘᲧᲝ და არის სუფთარი ნაციო-
ᲣᲠᲘ მოღვაწეობა. როდესაც სო-
Ღ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘ ნაციონალისტე-
ᲓᲐ უმეტეს წილად კი ქართველი
ᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ წინააღმდეგ ილაშ-
ᲑᲔᲑᲓᲜᲜ, ისინი ამიერკავკასიის დე-
ᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ საერთო ინტერესების ნია-
ᲖᲔ იდგნენ და,—მართალნი იყვნენ
ᲛᲢᲧᲣᲐᲜᲜᲘ, ეს სხვა საკითხია,—
ᲫᲝᲜᲔᲜ ყველაფერს, რაც ნაციო-
ᲚᲘᲖᲛᲘᲡ გაძმობატ�ᲔᲚᲐᲓ მიაჩნდათ,
ᲨᲘᲜ დაშნაკცაკანები ᲙᲐᲠᲘᲡ უკრავდ-
Ნ სოციალ-დემოკრატებს. მაშინ სო-
ᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ და დაშნაკცაკა-
ᲑᲘ შორის ხშირად იდეალური თან-
ᲒᲝᲑᲐ დაᲣᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲐ. ალბათ დაშნაკ-
ᲪᲐᲜᲔᲑᲘ ეგონათ, რომ ეროვნული ინ-
ᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ დაცვა და ეროვნული სა-
ᲮᲘᲡ გადაწყვეტა მხოლოდ მათი
ᲞᲝᲚᲝᲜᲐᲐ, რომ ეროვნული საკით-
ᲮᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ სოციალისტ-ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ
ᲓᲐ ᲓᲐᲨᲜᲐᲙᲪᲐᲙᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ
ᲛᲔᲚᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ,
ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ
ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲡ.
ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲗ ᲐᲠᲐ
ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ
ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ
ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ
ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ

ᲚᲘᲡᲢᲔᲑᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲝᲕᲘᲜᲘᲡᲢᲔᲑᲐᲓ გამოაცხადეს. ჩვენ დიდი მათაყვანებელნი არა ვართ სოციალ-დემოკრატიისა. პირიქით, მათი დუნე და სუსტი მოქმედება ეროვნულ პოლიტიკაში ჩვენ ქართველი ხალხისთვის მუდამ მავნებლად მიგვაჩნდა და ეხლაც მავნებლად მიგვაჩნია. ჩვენ ლასამალი არასოდეს არავისთან არაფერი გვქონია: უწინაც. როდესაც ეანდარმები ახრჩობდნენ ჩვენს აზრს და ეხლაც ვამბობდით და ვამბობთ, რომ სანამ საქართველოს ტერიტორიაზე მთელი სახელმწიფოებრივი ძალა - უფლება თვით ქართველი მთავრობის ხელში არ გადაგვა, ჩვენ არ მოვისვენებთ. საქართველოში ერთად-ერთი მბრძანებელი და მმართველი უნდა იყოს— თვით ქართველი ხალხის მიერ არჩეული საქართველოს პარლამენტი და მის წინაშე პასუხისმგებელი საქართველოს მთავრობა, ყოველნაირი სხვანაირი მთავრობა ᲐᲜᲓᲐᲠᲛᲣᲚᲘ და უსინიდისო მთავრობა იქნება. სომხებიც და თათრებიც აუცილებლად ეროვნულ-ტერიტორიალურად უნდა ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲒᲓᲜᲔᲜ და შეჰქმნან თავიანთი შინაური მმართველობა, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛᲘᲡ შემდეგ მოხერხდება იმ საერთო საქმეებისა და ინტერესების გამოძებნა, რომლებიც დამახასიათებელია მთელი ამიერკავკასიისთვის. ᲗᲣᲛᲪᲐ ეროვნებათა ᲛᲨᲝᲕᲘᲜᲘᲡᲢᲔᲑᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲒᲓᲔᲑᲐ ხელს არ უწყობს, ის კავშირსა სწყვეტავს ამიერკავკასიის საერთო დემოკრატიასთან, ის ხელს უწყობს ეროვნულსა და დემოკრატიული საალმშენებლო მუშაობის დასაბარებას. სოციალ-დემოკრატები ძალიან სუსტად იქცევიან ამ საკითხში, მაგრამ მათ დასვეს ეს საკითხი და მარტო საკითხის დასმაც კი საკმარისი გაჰხდა, რომ დაშნაკცაკანებს სოციალ-დემოკრატები შოვინისტებადა და ნაციონალისტებად მოენათლად. ᲕᲡᲗᲥᲕᲐᲗ, დაშნაკცაკანები მართალნი არიან, ᲕᲡᲗᲥᲕᲐᲗ სოციალ-დემოკრატებს ეხლაც კი ეს საკითხი არ უნდა დაესვათ, როგორ აპირებენ დაშნაკცაკანები ეროვნული საკითხის გადაწყვეტას ამიერკავკასიაში? თუ ისინი საზოგადოდ ეროვნებათა განთავისუფლების წინააღმდეგნი არიან, თუ მათ არა ᲰᲣᲗᲘ ამიერკავკასიის ერებმა საზოგადოდ და საქართველომ კერძოდ შინაური თვითმმართველობა ფაქტიურად განაგორციელონ, მაშინ კეთილ ინებონ და ოსმალეთის სომხეთიც ოსმალებს დაუტოვონ, კეთილ ინებონ და ხელი აიღონ სომხეთის განთავისუფლებაზე, ჩვენ კი ნება მოგვცეს თავზე გადავფარფატეთ უწმინდესი მათი ეროვნული იდეალები. სომხები ამას არ იზამენ და არც ჩვენ ვიკადრებთ. არ ვიკადრებთ იმიტომ, რომ სომხეთის განთავისუფლება ჩვენთვის ისევე ძვირფასია, როგორც საქართველოს განთავისუფლება. დაშნაკცაკანების პარტია ეროვნულ პოლიტიკაში ნამდვილ ᲰᲝᲢᲔᲜᲢᲝᲢᲣᲠ მორალს იჩენს და შოვინისტებად ნათლავს ჩვენში იმას, რაც თავისთვის დიდს ინტერნაციონალისტობად მიაჩნია. მიღიუკოვისა და კადეტების რეციპტები სომხების განთავისუფლებისა აქაურ სოციალისტ-რევოლიუციონერებში ᲰᲐᲞᲝᲣᲚᲝᲑᲔᲜ გასავალს და ამ, უკვე დასამარებულ პოლიტიკას ზვარაკად სწირავენ ამიერკავკასიის ერთა პოლიტიკურ მომავალს, მომავალს, რომელიც სავსებით ამიერკავკასიის ერთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული.

სოციალისტ - რევოლიუციონერებზე საჭირო არ არის დიდხანს ლაპარაკი. ამ პარტიამ უკვე საბოლოოდ გამოაშკარავა თავისი ფიზიონომია და დაგვანახვა, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ მპყრობელობის ერის იდეით არის გაჟღენთილი. ეს პარტია, რომელიც სხვათა შორის აღარავის წარმომადგენელთა არ არის, რადგანაც ამრჩევლები დიდიხანია რუსეთში დაბინავდნენ და, უეჭველია, უკვე ბოლშევიკებთან ერთად რუსეთში სოციალიზმს ამყარებენ,—ეს პარტია წარსულის აჩრდილს ღა ემყარება და არა რეალურ ძალას. რეალურ ძალას მოკლებული, მას იმდენი მაინც კიდევ შეუძლიან, რომ პოლიტიკური ინტრიგებით დაასამაროს იდეა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერატიული რესპუბლიკისა, დაასამაროს ის, რაც უკვე სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მიერ კანონად არის გამოცხადებული. მპყრობელი ერის იდეით ისე არიან გაჟღენთილნი ეს ვაუბატონები, რომ მათ დაავიწყდათ დამფუძნებელი კრებაც, თავისი პროგრამაც და ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, რაც კი ამ პარტიის მიერ თქმულა და დაწერილა ეროვნებათა განთავისუფლებასა და ფედერაციის შესახებ. სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტია აქ ხელში ᲩᲐᲣᲠᲓᲐᲗ ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲘᲫᲕᲘᲠᲔᲑᲡ, რომლებმაც ჩრდილი და სამარცხვინოლაქა დაადვეს ამ საუკეთესო ტრადიციებით სავსე პარტიას. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ᲗᲘᲡ პარტიაც წინააღმდეგობას უწევს სოც.-დემოკრატებს და ნაციონალისტებს უწოდებს. სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება ისეთ ფეტიშად გადაქცეულა სოც.-დემოკრატებისთვის, რომ-ᲗᲐᲛᲐᲪ მოწმენრიგის მორჩილებით ᲥᲔᲓᲘᲡ იხრიან მისი გარდწყვეტილების წინაშე და ფედერატიულ რესპუბლიკას იღებენ, რაკი დამფუძნებელმა კრებამ რუსეთი ფედერატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა, სოც.-რევოლიუციონერების პარტია კი, რომლისთვისაც სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება ასეთსავე ფეტიშად არის გადაქცეული და რომელსაც ამასთანავე ერთად პროგრამაშიაც უწერია ფედერალიზმი, ყოველნაირ ზომებს იღებს, რათა ფედერალიზმი ამიერკავკასიაში ფაქტიურად ვერ განხორციელდეს. ეს მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტ-რევოლიუციონერების ᲕᲔᲚᲘᲙᲝᲠᲝᲜᲘᲐᲚᲘ მპყრობელი ერის შოვინისტური განწყობილებით შეიძლება აიხსნას.

აი ეს ძალები დღეს ებრძვიან სოციალდემოკრატიას და ცდილობენ მათ იზოლაციას. როგორც შევითაცა ვსთქვით, ᲯᲔᲠ დანამდვილებით არ შეიძლება ითქვას, ძალთა რანაირი განწყობილება დამყარდება სეიმში. ადვილად შესაძლებელია პოლიტიკურმა გონიერებამ გასჭრას და ისეთი განწყობილება შეიქმნას, როდესაც შესაძლებელი გახდება ერთის ᲛᲮᲠᲘᲗ ძლიერი მთავრობის შექმნა და მეორე მხრით ეროვნებათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მაგრამ შესაძლებელია ასეც არ მოჰხდეს. მაშინ როგორ უნდა მოიქცეს ქართველი დემოკრატია, დემოკრატია, რომელსაც თავის საკუთარ სამშობლოში, საკუთარ ქვეყანაში მართვა-გამგეობას ჩამოაშორებენ? სოციალდემოკრატები ამის პასუხსაც იძლევიან. მაშინ ᲩᲕᲔᲜ ᲝᲠᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ დავრჩებით და სარევოლიუციო ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ დავიწყებთ მუშაობასაო. ამისთანა პასიური როლით მხოლოდ სუსტი პარტია შეიძლება დაკმაყოფილდეს. მაშინ, როდესაც სოციალ-დემოკრატიული პარტია მთელს საქართველოშია გაბატონებული, მაშინ, როდესაც მას ხელში ᲣᲞᲧᲠᲘᲗ მთელი სადავე ერის ცხოვრებისა, ᲯᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ სარევოლიუციო შემოქმედების დროს მისი ᲝᲠᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲓᲒᲝᲛᲐ იქნება ამასთანავე ერთად მთელი ქართველი ხალხის პოლიტიკური სარევოლიუციო შემოქმედების ერთს წერტილზე გაყენება. ეს თვით ქართველი ხალხის პოლიტიკური სიკვდილი იქნება. სოციალდემოკრატები დიდხანს იბრძოდნენ რუსეთის მთლიანი სარევოლიუციო ფრონტის დასაცავად. ბოლშევიკებმა ეს ფრონტი დაარღვიეს და ჩვენებური ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲪ იძულებული გაჰხდნენ თავიანთი სამოქმედო ასპარეზი შეეზღუდათ. დღეს იგივე სოციალდემოკრატები ენერგიულად იცავენ ამიერკავკასიის მთლიან სარევოლიუციო ფრონტს და სწორედ ამ მიზნისთვის შეჰქმნეს ამიერკავკასიის სეიმი. თუ დაშნაკცაკანებმა და სოციალისტ-რევოლიუციონერებმა ამიერკავკასიის მთლიანი სარევოლიუციო ფრონტიც დაარღვიეს, სოციალ-დემოკრატებმა ახალი ასპარეზი უნდა გაიჩინონ სამოქმედოდ. ეს ახალი ასპარეზი იქნება საქართველო. თუ ამიერკავკასიის მთლიანობაც დაირღვა, მაშინ თვით ქართველმა ხალხმა უნდა აიღოს თავის ხელში საქართველოს მართვა გამგეობის საქმე და რევოლიციის წესით მთელი ძალა უფლება ხელთ იგდოს. თუ ქართველი ხალხის, ქართველი დემოკრატიის ამნაირ გამოსვლას ისეთი შედეგები არ მოჰყვა, რანაირიც სასურველი არ არის ამიერკავკასიის დანარჩენ ერებისთვის, დაე ᲐᲛᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲖᲘᲓᲝᲜ დაშნაკცაკანებმა და სოციალისტ-რევოლიუციონერებმა, რომელთა წყალობითაც მოჰხდება მთლიანი დემოკრატიული ფრონტის დარღვევა...

არ. ᲯᲐᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲝᲛᲘ ᲗᲣ ᲖᲐᲕᲘ

Სახალხო კომისარიების მთავრობა იუწყება: გერმანიის მთავრობამ უარი გვითხრა გარიგებაზე. გერმანელი ᲯᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ მოდიან. მზადა ვართ ᲗᲔᲚᲘ მოვაწეროთ ნაძალადევ ზავს. ეს უკვე განუცხადეთ გერმანიას. მაგრამ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲐ იმის, რომ გერმანელ იმპერიალისტებს ამ ᲯᲐᲛᲐᲓ ზავი კი არ უნდათ, არამედ მუშათა და გლეხთა რევოლიუციის ᲩᲐᲮᲜᲝᲛᲑᲐ.

ამიტომ წინააღმდეგობის გაწევა გერმანიის ᲣᲠᲓᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘᲐ რევოლუციისა, წინააღმდეგობა მამაცი, მედგარი, გმირული, შეუბრალებელი, დაცვა ყოველი პოზიციისა, ყოველი სადგურისა, მატარებლისა. ხოლო ჩვენი ᲯᲐᲠᲘ მცირეა. ჩვენი უდიდესი ძალაა ჩვენი ადგილების სივრცე. რევოლისა და პსკოვის აღება არაფერს მოაᲡᲬᲐᲕᲔᲑᲡ. პეტერბურგის აღებაც ვერ გადაᲡᲬᲧᲕᲘᲢᲘ რევოლუციის ბედს. სახალხო კომისარების მთავრობას უფლება აქვს, და მოვალეცაა უკან დაიხიოს, თუ საჭიროა ᲘᲥᲜᲐ, და თავი მოუყაროს ძალებს. თუ მტერი დაემუქრა პეტერბურგს, ცენტრს გადავიტანთ მოსკოეში ან სხვაგან.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ უნდათ სახალხო კომისარების მთავრობის ᲩᲐᲮᲩᲝᲛᲐ და იმიტომ მოეᲬᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ პეტერბურგისკენ. მაგრამ ჩვენ გზებს შეუკოავთ ყოველს საშუალებით. ესაა ეხლა მთავარი საგანი პეტროგრადის პროლეტარიატის და რევოლიუციონური შტაბის. ხოლო ამასთანავე ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ გერმანელმა გენერლებმა დაინახონ, რომ ჩვენ გვემორჩილება არა მარტო პეტერბურგი, არამედ მთელი სახელმწიფო, ჩრდილოეთი და სამხრეთი, ურალის აქეთა და იქითა პირი.

თუ გამოისერნებენ პეტერბურგისკენ, დავუმტკიცებთ, რომ დაჭირდებათ ჩვენი დამორჩილებისათვის გაშლა მთელ რუსეთზე. ᲒᲧᲝᲤᲐᲗ ამისთვის ძალა? არა. რაც უფრო ღრმად შემოიჭრებიან, მით უფრო დაიჩქარებენ რევოლუციას გერმანიაში. საჭიროა სიმტკიცე და სიღრმერე.

პირველია შიშმა უკვე გაიარა. ლაჩრები გარბიან რათა დაუთმონ პოსტები უფრო მხნეებს და მამაცებს, რომლებიც მრავლად მოდიან სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

თუ გერმანელ იმპერიალისტებს არ უნდათ ზავი სახალხო კომისარებთან, დარწმუნდებიან, რომ სახალხო კომისრების რევოლიუციას შეუძლია თავის დაცვა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

◆ **სამხედრო კომისარმა** გობეჩიამ განკარგულება გასცა რომ საჩქაროდ გაგზავნონ სარიყამიშში 5,000 ფუთი სუხარი,

◆ **მიმოსვლის კომისარი** სთხოვს ფინანსთა კომისარს გზების საჭიროებისათვის 1,000,650 მანეთს,

◆ **კომისარიატის სხდომა,** ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომაზე 12 თებერვალს, დადგენილ იქმნა ერთი თვით გაანთავისუფლონ ᲯᲐᲠᲨᲘ გაწვევისაგ 5 ტფ. მილიციონერები.

◆ **ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ მოყვარულთა საზოგადოების** კრება გაიმართა სამშაბათს, 13 თებერვალს, სამეურნეო ბანკის დარბაზში, საღამოს 5 საათზე. კრებამ მოისმინა მოხსენება გამგეობის თავმჯდომარის გ, ᲞᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡᲘ. საზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ. გადაᲡᲬᲧᲓᲐ—საზოგადოების მოქმედება შეიცვალოს, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს პრაქტიკულ მოღვაწეობას. ამის დაკვალად, შეცვლილ იქმნა თვით სახელწოდება საზოგადოებისა, მას დაერქვა „ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ და ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ“. გადაᲡᲬᲧᲓᲐ აგრედვე პაიების გამოცემა. თითო პაი ეღირება 100 მანეთი. შეცვლილი წესდება წარედგინება დასამტკიცებლად ტფილისის საოლქო სასამართლოს.

◆ **კრების გაგრძელება.** მათემატიკის და ფიზიკის ტერმინოლოგიის შესამუშავებლად გაგრძელება იმ კრებისა, რომელიც მოხდა კვირას 11 თებერვალს დ ნიშნულია კვირას 18 თებ. დილის ათ საათზე ქართულ გიმნაზიის შენობაში.

◆ **„განათლების“ სასარგებლოდ.** შაბათს თებერვლის 17-ს ქართულ კლუბში გაიმართება საღამო ფრიად საინტერესო პროგრამით „განათლების“ საზოგადოების ქალთა სემინარიის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

◆ **სტუდენტთა კრება.** 14 თებერვალს ქ. უნივერსიტეტის ბინაზე მოხდა ქართულ უნივერსიტეტის სოც.-ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲘᲡᲢ სტუდენტთა და მსმენელთა კრება. მიუხედავად იმისა რომ კრება გაიმართა ძალიან გვიან, ლექციების შემდეგ და ბევრი ამხანაგი იძულებული იყო არ დასწრებოდა კრებას, მაინც სხდომას 150 კაცამდე დესწრო. ამხანაგებმა იქონიენ მᲯᲔᲚᲝᲑᲐ სხვა და სხვა საორგანიზაციო საკითხებზე და დასასრულ აირჩია პარტიული ბიურო, რომელშიაც შედიან: ამხ. კ, ნარუაშვილი, კ. გამსახურდია, დ. მგალობლიშვილი, გ. ხმალაძე, შ. ასათიანი, ელ. ბერძნიშვილისა და კ. გოგაჩაიშვილი.

◆ **ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ-ᲗᲐᲗᲐᲠᲗᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ.** 7 თებერვალს სოფ. საგარეჯოში (გარე-კახეთი) მოჰხდა ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ივრის ხეობის ქართველობისა და თათრობისა, რომელზედაც საჭიროდ აღიარეს ძმური და კეთილმეზობლური განწყობილება ამ ორ ერში არ დაირღვეს და ყოველნაირ გაუგებრობის გამოსარკვევად, შეიქმნას შერეული კომისია, რომელშიაც შევლენ ივრის ხეობის ᲧᲕᲔᲚᲐ სოფლის წარმომადგენელნი. ამავე ყრილობამ იქონია მᲯᲔᲚᲝᲑᲐ ბადიაურის ამბებზე და დაადგინა, ეს საქმე სასტიკად გამოიძიოს და დამნაშავენი პასუხისგებაში იქმნენ მიცემულნი. ყრილობამ დასასრულ დაადგინა 15 თებერვალს მოჰხდეს კრება შეერთებულ კომისიისა, რომელზედაც მოწვეულ იქმნან სიღნაღის კომიტეტების წარმომადგენლები და სოფლის კომისრები.

◆ **ᲑᲝᲜᲔᲑᲘ.** ბონების გიმოცემა გათავეს. დაოჩენილი ქალალდები, რომელზედაც ბონები იბეჭდებოდა გადაეცემა სახაზინო დაწესებულებებს.

◆ **მალაზიის გაძარცვა** ღამით 14 თებერვალს გაძარცვეს კავკასიის ანბანაგობის აფთიაქის მალაზია (მელიკ-ᲐᲖᲐᲠᲘᲐᲜᲪᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ) ბოროტმოქმედნი მალაზიაში შევიდნენ თეატრ „მინიატიური“-დან. ეტყობა ᲥᲣᲜᲓᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ იცხობდნენ პარფიუგერინს, მისთვის რომ რაც საუკეთესო საქონელი იყო, წაუღიათ და მდარე კი იატაკზე გაუფანტავთ. ზარალი რამოდენიმე 1000 მანეთისაა.

◆ **მკვლელობა.** 14 თებერვალს საღამოთი ელიაბედის ᲥᲣᲩᲐᲖᲔ № 17, სენჟენის სტაფის კომენდანტის სამართველოში, მოჰკლეს ეტაფის კომენდ. პრაპ. ს. ილ. სერებრიანინოვი. იმ დროს კანცელარიაში იყვნენ: საქმის მწარმოებელი უდოვკინი და ორი ᲯᲐᲠᲘᲡ კაცი უმტიანები და კონაპელკო. ყველა გაძარცვეს. უდოკინს წაართვეს 10 ათასი მანეთი, კონაპელკოს 1800 მან. უკანასკნელები გაკვეთულნი არიან, რადგან მათი ჩვენება, საეჭვოა.

◆ **ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲯᲐᲠᲨᲘ.** ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ პოლკოვნიკი გეგეშიძე მსახურობდა კავკასიის ფრონტზე 35 თურქესტანის მსროლელთა პოლკის მეშვიდე როტაში, მესამე ვზოდში. თუ ვინმემ იცის მის შესახებ რამ—ეთხოვთ შეგვატყობინოთ მის მშობლებს დ. ბალდადში ა. ზ. გეგეშიძეს.

ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲐᲓ

Ქ. ᲤᲝᲗᲘ.

◆ Სავაჭრო გიმნაზიის მოწაფეთა უფროს კლასების 3 თებერვლის საერთო კრებამ თანახმად ქუთაისის მოწაფეთა დელეგატის მოხსენებისა განიხილა უმწეო მდგომარეობა სამშობლოსი და გადაᲡᲬᲧᲘᲢᲐ მცირე კამათის შემდეგ თუთხმეტამდე ᲩᲐᲬᲔᲠᲝᲜ მოხალისედ სამხედრო ნაწილებში, ყველა განუ ᲩᲔᲕᲚᲐᲓ წლოვანებისა.

◆ 5 თებერვალს პედაგოგიურმა საბჭომ მშობელთა წრის თანადასწრებით იქონია მᲯᲔᲚᲝᲑᲐ მოწაფეთა ზემო აღნიშნულ დადგენილების შესახებ და ხანგრძლივი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კანონიერად სცნო მოწაფეთა დადგენილება და აღუთქვა არ შეუშალონ ხელი მოწაფეთა საბჭედრო ნაწილებში ᲩᲐᲬᲔᲠᲐᲡ.

◆ მეოთხე რაიონის ინსპექტორად სტეფანე გაგუას ადგილას დაინიშნა ვლად. გაგუა. ბინა იმყოფება ბერძნის ქუჩაზე.

◆ შავი ზღვის ფლოტის ერთმა ტრანსპორტმა ულტიმატუმი წარუდგინა ნავთსადგურის უფროსს დაუყოვნებლივ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲝᲜ ნავთსადგური.

◆ ქალაქის თვითმართველობამ საᲕᲐᲭᲝ გიმნაზიის სწავლის წლიური გადასახადი 200 მან. დააწესა. იმავე გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ ეს დადგენილება დაადასტურა, მხოლოდ მშობელთა წრემ პროტესტი განუცხადა და მშობლების კრებაზე გადაᲡᲬᲧᲘᲢᲐ ეთხოვოს ქალაქის თვითმართველობას დარჩეს ძველი ნორმა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

◆ 10 თებერვალს საღამოთი სამების მხრიდან სროლა მოისმა ხშირი. ხალხს ეგონა, რომ კიდევ დატრიალდა რაღაც უᲬᲔᲓᲣᲠᲝᲑᲐ და შიშის ზარი დაეცა. მეორე დღეს გამოირკვა, რომ ციხეში მიჰყავდათ რაზმელებს ხეთაგᲯᲘᲝᲨᲕᲘᲚᲘ, 1906 წელს მთავრობის ნამამსახლისარი, რომელიც თავის სასტიკით და სისხლის მსმელობით სახელგანთქმული იყო, მისი ძმა და ადგილობრივი მცხოვრები გულისაშვილი („ᲥᲝᲡᲐᲡ ᲑᲘᲭᲘ“). მათ გაქცევა სცადეს და რაზმელებმა სამივენი დაჰხოცესო.

◆ ქალაქში მშვიდობიანობაა. სამხედრო-სარევოლუციო შტაბი ᲑᲔᲯᲘᲗᲐᲓᲐ მუშაობს. სჩხრეკენ და აპატიმრებენ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ვინც საეჭვოდ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

◆ კარგა ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲣᲑᲘᲚᲐᲕᲡ თვალით და ეს იმ დროს, როდესაც ზოგიერთ მოვაჭრეს ᲑᲚᲝᲛᲐ-და აქვს ნავთი გადამალული და ხალხს ათ ᲰᲘᲠ ტყავს აძრობს. ამ დღეებში ერთ მოვაჭრეს საკმაო ᲑᲚᲝᲛᲐ ნავთი აღმოუჩინეს. საჭიროა სარევოლიუციო ტრიბუნალმა ასეთ მოვაჭრის წინააღმდეგ სასტიკი ზომა მიიღოს და სამაგალითოდ დასაᲯᲝᲡ Sხვის ᲭᲙᲣᲡ სასწავლებლად. დეე ხელოვნურად ნურავინ ᲭᲥᲜᲘᲡ კრიზისს და ხიდაგს ნუ უმზადებს კონტრ-რევოლიუციას და უწესოებას.

◆ უპᲬᲠᲝᲑᲐ

სულებიც. როგორც წინასწარ თათბირის მიერ არჩეულ კომისიის წევრის **დ. არონიშიძის** მოკლე მოხსენებიდან გამოირკვა, ამიერკავკასიის სამართველოს ქართველ მოსამსახურეთა ერთ ჯგუფს განუზრახავს მოეწყოს „რკინის გზებზე ქართველ მოსამსახურეთა კავშირი“ იმ მიზნით, რომ ამ კავშირმა ხელი შეუწყოს რევოლიუციის მიერ წამოყენებულ ერთ-ერთ მთავარ ლოზუნგის ნაციონალიზაციის ცხოვრებაში გატარებას. რა წამს ქართველი ერი საჯარო პოლიტიკური უფლებით აღიჭურვება, ამბობს მომხსენებელი, ნაციონალიზაცია დაწესებულებებისა აუცილებელი გახდება თუ რომ, რასაკვირველია, ეს პოლიტიკური უფლება ქართველი ერისა იქნება სრული და წუნდაუდებელი ჩვენი ეროვნული ზრახვებისა და მისწრაფებათა მიხედვით. რევოლიუცია არღვევს ძველ წყობილებას, ის იწვევს ღირებულებათა ახალ შეფასებას და სწორედ ჭეშმარიტი რევოლიუციონერობაც იმაში გამოიხატება თუ ამ რღვევისა და ნგრევის შემდგომ იწყება დიადი შემოქმედებითი აღმშენებლობითი მუშაობა. ამ შავი მოსამზადებელი ხასიათის მუშაობა უნდა იკისროს რკინის გზებზე ქართველ მოსამსახურეთა განზრახულმა კავშირმაო,—დაათავა თავისი სიტყვა მომხსენებელმა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ამ დღეს ბოლშევიკების გამოსვლისა გამო შიშიანობა სუფევდა, კრებამ მაინც დაინტერესებულ პირთა საკმაო რიცხვი დაესწრო.

კახეთის რკინის გზის წარმომადგენელმა **ნ. ლეჟავამ** მოითხოვა კრების გადადება იმ მოსაზრებით, რომ ლიანდაგის მოსამსახურენი ოფიციალურად მოწვეულნი არ ყოფილან მათი მონაწილეობის მიუღებლობა კი კავშირის საქმეს დიდ ზიანს მოუტანსო. კრების თავმჯდომარე **დ. არონიშიძე** ამის საპასუხოდ აცხადებს: კომისიას აზრად ჰქონდა ლიანდაგიდანაც მოეწვია მოსამსახურენი, მაგრამ ტეხნიკური ხასიათის დაბრკოლებათა გამო ეს შეუძლებელი გახდა. გარდა ამისა არსებობს ერთი დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილია ამიერკავკასიის რკინის გზის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ **მალანიას** მიერ. ამ დეპეშაში კატეგორიულად მოთხოვილია სათანადო უწყების უფროსებისაგან არ მოიყვანონ სისრულეში არც ერთი დადგენილება რკინის გზის მოსამსახურეთა ნაციონალურ ფრაქციების ყრილობებისა. დეპეშის გამოცემით იკრძალება რკინის გზებზე საერთოდ ეროვნულ ფრაქციების ყრილობათა მოწვევა და შედგენა.

ამ განცხადების შემდეგ მოლაპარაკენი ეხებიან საკითხს თუ რომელ ორგანოსთან იქონიოს დამოკიდებულება განზრახულმა კავშირმა, რომ მთავარ კომიტეტთან მოსალოდნელ გაუგებრობასა და ურთიერთობის გაწყვეტას არ ჰქონდეს ადგილი. ასეთ ორგანოდ ერთხმად აღიარებულ იქნა **საქართველოს ეროვნული საბჭო.** მცირე კამათის შემდეგ გადასწყდა მოწვეულ იქნას 18 თებერვალს ამიერკავკასიის სამართველოს, ლიანდაგის და კახეთის რკინის გზის ქართველ მოსამსახურეთა შეერთებული კრება. ამასთანავე მიღებულ იქნა მხედველობაში მთავარ კომიტეტის დეპეშა და გადასწყდა დაიგზავნოს ლიანდაგზე ტელეფონოგრამები და ქართულად დაბეჭდილი მოწოდებები და ეთხოვოს ლიანდაგის მოსამსახურეებს, ვისაც შეძლება და გარემოება ხელს უწყობს, დაესწრენ 18 თებერვლის კრებას. სადელეგატო პრინციპი კრების მოწვევისა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო უარყოფილ იქმნა. 18 თებერვლის კრება იქნება კანონიერი რამდენიც უნდა დაესწროს მას. ეს კრება განიხილავს კავშირის დაარსების საჭიროების საკითხს, გამოიმუშავებს წესდებას და აირჩევს კავშირის საბჭოს.

აღსანიშნავია, რომ დამსწრენი დიდის თანაგრძნობით შეხვდნენ კავშირის დაარსების აზრს და ამ საკითხის გარშემო კამათიც კი არ გამართულა. ეს ერთსულოვნება კრების მონაწილეთა აღნიშნულ იქმნა თავმჯდომარის მიერ და კრების ბოლოს მან მოუწოდა დამსწრეთ ბოლომდის დაეცვათ ეს ერთსულოვნება და ხელი შეეწყოთ კომისიისათვის კრების მოწვევის ტეხნიკურ მხარეთა მოგვარების საქმეში. დასასრულ არსებული კომისია შევსებულ იქმნა ხუთი წევრით, რომელთაგან ორი არის წარმომადგენელი კახეთის რკინის გზის, ორი ლიანდაგის ერთი ამიერკავკ. რკ. გზის საართველოს.

ეროვნული საბჭო

განათლების სექციის სხდომა გაიმართება დღეს 12 საათზე.

—

— საფინანსო სექციის სხდომა გაიმართება დღეს ნაშუადღევს 2 საათზე.

—

სამხედრო სექციის ცნობით, მე-5 და მე 7 კავკასიის მსროლელთა პოლკებში (ყოფილი ქართული—გურული „დრუჟინა“), რომელნიც ქ. ალექსანდროპოლს და ერევნის რაიონებში სდგანან, არის დროშები, სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები, რომელნი მიღებულია ჯილდოთ მთავრობისგან, და ზოგიერთი ქართ. საზოგადოებისაგან. საჭიროა ფრონტის უფროსთან ელჩრას შუამდგომლობა, ხსენებული ნივთები გადმოსცენ ეროვნულ საბჭოს.

ყალბი რევოლიუცია

7 თებერვლის გაზეთ „ბრძოლის“ მე-29 ნომერში მოთავსებული იყო რეზოლიუცია, რომელიც მეშვიდე ქართველ მსროლელ პოლკის ჯარისკაცებს, თავიანთ კრებაზედ, ვითომდა მიეღოთ. როდის იყო ეს კრება და ან რომელ კრებაზედ გამოიტანეს ეს რეზოლიუცია, არც ერთმა პოლკის კომიტეტის წევრმა არ იცის და მკითხველი კი, გაზეთში მოთავსებულ რეზოლიუციის მიხედვით, ვერ მიხდება, როდის ჰქონიათ ეს კრება, რადგანაც რიცხვი და თვე არ არის ნახსენები.

გაზეთის რედაქტორი ადვილი დასარწმუნებელი იქნება იმაში, რომ ეს რეზოლიუცია ბატონმა მიჩილაშვილმა, ან სიზმარში გამოიტანა და ან კიდევ (რაც უფრო ადვილი საფიქრებელია) თვითონ გაზეთის რედაქციის კედლებს შუა დასწერა, გაზეთისავე სხვა თანამშრომლის მეხსიერებით, რადგანაც თვითონ მას არც გონება, არც ენა და არც მოხერხებულება შესწევდა ამისათვის

თუ ბ. რედაქტორი არ დაგვიჯერებს და დაიცავს მიჩილაშვილის მიერ წამოყენებულ ყალბ რეზოლიუციას, ვსთხოვთ მობრძანდეს მე-7 ქართ. მსრ. პოლკში და დარწმუნდეს, რომ არამცთუ ის ჯარისკაცები, რომელნიც ვითომდა ამობდნ: „ფიცს ვსდებთ დავრჩეთ ჩვენ ჩვენს ადგილზედ, ის ჯარისკაცები, რომლებიც გაგვანთავისუფლეს სამსახურიდან 25 წელს ზევით ნაციონალურმა საბჭომ და კომისარიატმა მანამდინ, სანამ ძალა-უფლება არ გადავა გლეხების, სალდათების და მუშების საბჭოების ხელში ამიერკავკასიაშიო“, არამედ თვით თავმჯდომარე და შემთხზველ მიიჩლაშვილსაც კი ვერსად იპოვნის, რადგანაც ყველაზედ წინ, თავის დაჰქაშეებთან ერთად, თვითონ წაბრძანდა სახლში განთავისუფლებისათანავე.

მეშვიდე ქართულ მსროლელ პოლკის **კომიტეტი.**

1917 წ. და ბაქოს ქართველობა *)

(წერილი ბაქოდან)

რევოლიუციას!

შარშანდელი წლის რევოლიუციამ ბაქოსაც სწვდა; ან როგორ შეძლებდა ასეთი დიდი წარმოების ქალაქი გარიყული დარჩენილიყო და აქტიური მონაწილეობა არ მიეღო რევოლიუციის მსვლელობაში! თავისუფლების მოედანი აქაც მოიძებნა: მიტინგ-მიტინგს მოსდევდა, ორატორი-ორატორს და ყველა კი შეკავშირება-შეერთებას ვგულისხმობდა საერთო მტრის კონტრ რევოლიუციონერების წინააღმდეგ! ძირს ჩაგვრა და მონობა, გაუმარჯოს ერთა თავისუფლებას, გაუმარჯოს საერთაშორისო ზავს,—გაიძახოდნენ ორატორები და ხალხიც მას ვე იმეორებდა; დავწყებული ჰქონდათ განვლილი წლების ურთიერთშორის უთანხმოებანი და ყველანი ერთ ჰანგზე ღეროდენ!

სახარბიელო იყო და სანუკვარი ასეთი მდგომარეობა, რომელმაც გასტანა სამოქალაქო ომის დაწყებამდის-ანარქიამდის. ხოლო ანარქიამ ფრონტი შესცვალა და სოლიდარობის, კავშირის აღმაფრენას რამოდენიმედ ფრთები შეაკვეცა, საუბედუროდ!

ადგილობრივი ქართველებიც ამ საერთო დღესასწაულებში მონაწილეობას იღებდნენ, მხოლოდ არა როგორც ერთი, გაერთიანებული რამ წრე, ან საზოგადოება, არამედ, როგორც კერძო პიროვნებები, ამა თუ იმ მიმართულების პარტიებში მონაწილენი. განსაკუთრებულმა პირობებმა: სამშობლოს გარეგან ყოფნამ და გაერთიანებულ ერთა შორის ტრიალმა ვერ შეჰქმნა მაინც გაერთიანების, შეკავშირების, შედუღების ღრმა შეგნება; ან და თუ ასეთი რამ ოდნავ სადმე შეიქმნა, ეს იყო კერძო პიროვნება ან არა გავლენიანი მცირე ჯგუფი. ეი, ამიტომ ვერ მოხდა გაერთიანება ბაქოელ ქართველებისა! ისე კი რევოლიუციონურ პარტიებში მხურვალე მონაწილეობა მიიღო; ლიდერობდა, აგიტატორობდა, წრეებს ხელმძღვანელობდა და სხვა.

პარტიები!

ძველ დროსაც კი, რეაქციის ხანაში, აქაურ ქართველებში პარტიობას ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები! ხოლო რევოლიუციამ პარტიობა საჯაშკარაოზე გამოიტანა: ადგილობრივმა მდიდრებმა დაიარსეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მოაგროვეს ფულები და მიართვეს გაზეთ „საქართველოს“ და ტფილისის კომიტეტს; წევრები ვერ იშოვეს, მათ მხოლოდ შეძლებულები-ღა მიეკედლენ! არჩევნებში მხოლოდ 145 ხმა მიიღეს.

ქართველი სოც.-დემოკრატები რუსების ორგანიზაციაში ჩაეწერნენ, ასედაც უკარნახებდა მათ მარქსის მოძღვრება, ინტერნაციონალისტობა! ცალკე ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსება თვით ტფილისში ვერ გაბედეს, და ბაქოში ვინ ადმოჩნდებოდა მათ შორის ასეთი გმირი! მთელი მათი სიგმირე და სიყოჩაღე მოწინააღმდეგე პარტიების და განსაკუთრებით სოც.-ფედერალისტების გინებაში გამოაშკარავდა. დაწყებული ჟორჟოლიან-ბაქრაძეებიდან გათავებული თვით დემაგოგიის მთავარსარდლით საყვარელიძეთი, ყველას ჩვენი პარტია ჰყავდა ამოჩემებული და ყოველ კრებაზე, ყოველ მიტინგზე ნაცვლად სერიოზული კამათისა, ბაცვეთილი და ათასჯერ ყოველ იმათ აგიტატორის მიერ გადღეჭილი დემაგოგიით უმასპინძლებოდნენ და ამხედრებდნენ ქართველ მუშებს ჩვენს წინააღმდეგ! გვიწოდეს ბატონ-ყმობის აღმდგენელნი, თავად აზნაურები, რეაქციონერები... მგონი საქართველოში და კერძოდ კიდევ იმერეთში—ბესთაფონის ნაწილში—მეორე არ მოიძებნება ისეთი პირი, რომ აქაურ სოც.-დემოკრატის საყვარელიძის ოდენა უშვერი და საგინებელი სიტყვების ლექსიკონი მოეძებნებოდეს. ერთი კრების შემდეგ, სადაც საყვარელიძე ჩვენს გინებას მთელი ერთი საათი მოუნდა, ჩემ თავს ხმრად ვეკითხებოდი, ნუთუ იმერელ კაცს ამდენი გინება შეუძლია! ალბად ბაქოში თუ ისწავლა! უბედურებაც სწორედ ის არის, რომ თვით ხელმძღვანელებშიაც კი არის ეზრთა გაურკვევლობა, ბევრი რამ მათთვის გამოუცნობია და ბნელი!

ქართველი ესერებიც აღმოჩნდნენ ბაქოში! ყველ გვარ აზრს და მოვლენას შევრიგებივარ,—თვით ს.-დემ. გინებასაც კი,—მაგრამ ქართველი ესერობა არა მწამს, მაშინ, როდისაც არსებობს ნამდვილი ეროვნული, სოციალისტური, მათი მონათესავე პარტია სოციალისტ-ფედერალისტებისა! მაგრამ ჯუტორაც სენია ერთგვარი და ხანგრძლივი წმლობა ჭირია!

